ხელშეკრულება № 350401/118

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

" 29 " 09. 2011 წელი

ქ. თბილისი

დაიდო, ერთის მხრივ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"-ს (შემდგომში „შემსყიდველი") გენერალური დირექტორის ნატო ავალიანის და მეორეს მხრივ, შპს "ჯი-თი მოტორსი"-ს გენერალური დირექტორის თემურ უსტიაშვილის (შემდგომში „მიმწოდებელი")შორის, შემდეგზე:

1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების მიწოდება და ავტოტექნიკური მომსახურეობა (CPV კოდი – 50100000).

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შემსყიდველის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ავტოსათადარიგო ნაწილების და მასთან დაკავშირებული ავტოტექნიკური მომსახურების მიწოდება; (ავტომანქანა FORD EXPLORER სახელმწიფო სანომრე ნიშანი HNH-473);

1.3. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება და მომსახურება.

2. ხელშეკრულების საფუძველი

2.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი;

2.2. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანება.

2.3. სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" ადმინისტრაციული ხარჯები.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1000,00 (ათასი) ლარს დამატებითი ღირებულების გადასახდელის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს – „შემსყიდველის" სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის მიზნით გამოყოფილი კოორდინატორი ან ინსპექტირების ჯგუფი, რომელიც წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე, განახორციელებს ინსპექტირებას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.

4.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა ეკისრება მიმწოდებელს.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. „მომსახურების" უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი" წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი" საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის" ინტერესების გათვალისწინებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1 „მომსახურების“ მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. შპს „ჯი თი მოტორსი“-ს სერვის ცენტრი.
6.3 „მომსახურების“ მიწოდების საერთო ვადაა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შემსყიდველის მიერ მომსახურების მიღება წარმოებს ეტაპობრივად.
7.2.მომსახურების მიწოდების დასრულების შემდგომ ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი, რომელზედაც ხელისმოწერის შემდგომ შემსყიდველის პრეტენზიები აღარ მიიღება (გარდა საგარანტიო შემთხვევისა).
7.3. მიღება-ჩაბარების თითოეული ეტაპის წინ განხორციელდება მოწოდებული მომსახურების შემოწმება, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი ან სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
7.4. მიღება-ჩაბარების აქტებს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.
7.5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა, უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედდებული-განხორციელებული მომსახურების დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით და საწიროების შემტხვევაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმდევი დოკუმენტაცია.
7.6. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 7.5. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა მომსახურების დანიშნულების ადგილზე მიწოდებისთანავე. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდოანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით მომსახურეობის გაწევის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.
8.2. ანგარიშსწორების განხორციელდებისათვის მიმწოდებლმა უნდა წარმოადგინოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოწერილი ანგარიშფაქტურა საქონლის და მომსახურების აღწერით, საქონლის და მომსახურების რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო რაოდენობის მითითებით.
8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
9.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.
9.1.2. ავტოსატრანსპორტო საშუალების სერვისულ მომსახურებაზე დატოვებისას მოითხოვოს, ხოლო მიმწოდებელი ასეთ შემთხვევაში ვალდებულია შეადგინოს ავტოსატრანსპორტო საშუალების დათვალიერევის ოქმი, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველის რაიმე სახის მატერიალური ხასიათის პრეტენზიები უსაფუძვლოდ ჩაითვლება და არ იქნება განხილული.
9.1.3. საქონლისა და მომსახურების (ავტოსატრანსპორტო საშუალებების) ჩაბარებისათვის შპს „ჯი-თი მოტორს“-ში წარმოადგინოს მინდობილობა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში თავისი ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ნდობით აღჭურვილი პირის (პირების) შესახებ ან კონკრეტულ შემთხვევაში მოავლინოს სათანადო-რწმუნებით აღჭურვილი პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება ჩაიბაროს საქონელი, (ავტომობილი) ხელი მოაწეროს

მიღება-ჩაბარების აქტს. (თან იქონიოს საწარმოოს ბეჭედი) წინააღმდეგ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაცემა არ მოხდება.

9. 2. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

9.2.1. ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხარისხიანი საქონელი და მომსახურეობა, შპს „ჯი-თი მოტორსი"-ს სერვის ცენტრში, (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანის 12-ე კმ-ი) რაშიც იგულისხმება შემსყიდველის ავტოტრანსპორტისათვის წინასწარი შეკვეთის საფუძველზე სათადარიგო ნაწილებისა და ავტოტექნიკური მომსახურების მიწოდება. სათადარიგო ნაწილებისა და ავტოტექნიკური მომსახურების მიწოდების ვადები თანხმდება მხარეებს შორის წინასწარ, ყოველი კონკრეტული შეკვეთის დროს.

9.2.2. მიაწოდოს „შემსყიდველს" „მომსახურება", რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის" დაკვეთას.

9.2.3. დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

9.3 „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

9.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუქნტის უცილებელი შესრულება.

9.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგენა დაუძლეველი ძალა.

9.3.3. არ სცნოს „მიმწოდებლის" არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

9.4 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან" მის მეერ მიწოდებული „მომსახურების" ღირებულების სრული ანაზღაურება.

9.4.2. განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების" მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

9.4.3. აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან" სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

9.4.3. მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

9.4.4. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან" რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

9.4.5 უნდა ჩაემატოს: მიმწოდებელი უფლებამოსილია ავტოსათადარიგო ნაწილების მწარმოებელ კომპანიაში, მსოფლიო ბაზარზე ანალოგიურ საქონელზე ფასების გაზრდისა და ვალუტის კურსის 5%-ზე მეტით ცვლილების შემთხვევაში გაზარდოს უკვე შეთანხმებული ფასი, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს.

10. გარანტია და საგარანტიო მომსახურეობა

10.1. მიმწოდებელი აძლევს შემსყიდველს საქარხნო გარანტიას მხოლოდ „ჯი-თი მოტორს"-ში შეძენილ და „ჯი-თი მოტორს"-ის სერვის-ცენტრში გამოცვლილ ავტოსათადარიგო ნაწილების გამართულ მუშაობაზე 12 (თორმეტი) თვის ვადით გარბენის ლიმიტის გარეშე. ამ პერიოდში მიმწოდებელი, საქარხნო დეფექტების აღმოჩენის შემთხვევაში, თავისი ხარჯებით ახდენს მის შეკეთებას, ან შეცვლას; (საჭიროებისამებრ). იმ პირობით, რომ შემსყიდველი დაიცავს ძემოთაღნიშნული ავტომობილის მიმწოდებელთან შესყიდვის დროს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საგარანტიო პირობებს, დაიცავს პერიოდული სავალდებულო ტექმომსახურების პირობებსა და ვადებს.

10.2. შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას საყოველთაოდ დადგენილი ექსპლოატაციის წესები (არ გამოიყენოს ავტომობილი სპორტული ან სხვა არასტანდარტული მიზნებისათვის) და საგარანტიო პერიოდის განმავლობაში მომსახურება (რაც დაკავშირებულია გამოცვლილ სათადარიგო ნაწილთან და გაწეულ სერვისულ მომსახურებასთან) გაიაროს მხოლოდ „ჯი-თი მოტორსის" ტექნიკური მომსახურების დაწესებულებაში. (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივნის 12-ე კმ-ი). ზემოთაღნიშნული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია წინასწარი გაფრთხილების გარეშე გააუქმოს გარანტია.

- გარანტია არ ვრცელდება სწრაფცვეთად ნაწილებზე (ზეთი და სხვა სითხეები, ფილტრები, ხუნდები, ღვედები, საბურავი, ამორტიზატორი, ძრავის რეგულირება და ა.შ.) ასევე იმ შემთხვევაში თუ გამოსაცვლელ დეტალზე აღინიშნება მექანიკური ან სხვაგვარი გარეგანი დაზიანების კვალი. კონკრეტულად გარანტია არ ვრცელდება ჩამონათვალზე:
- ზეთის, ჰაერის და საწვავის ფილტრები
- სამუხრუჭე ხუნდები და დისკები
- შეჭიდულობის ქურო, დისკი და მომჭიმი საკისარი (სცეპლენია)
- ელექტრო ნათურები
- გენერატორის და კონდიციონერის ღვედები
- საბურავები და სავალი ნაწილის გეომეტრიის კორეკტირება (რაზვალ-სხოდი)
- შუშის საწმენდი ჯაგრისები
- სხვა დაზიანება, რომელიც არის გამოწვეული მძღოლის უხეში და გაუფრთხილებელი მოხმარების, როდესაც ავტომობილი გამოიყენება არასტანდარტული (მაგალითად სპორტული) მიზნებისთვის, როდესაც დაზიანებულ და მასთან მიზეზშედეგობრივად დაკავშირებულ ნაწილს აღენიშნება მექანიკური ან სხვაგვარი გარეგანი დაზიანების კვალი, გადატვირთვა (ავტომობილის მწარმოებლის მიერ დადგენილი ზღვრული ტვირთამწეობის გადამეტების შემთხვევაში).
- საავტომობილო შემთხვევებით, შეჯახებით, ხანძრით ან აფეთქებით, ყინვის ზემოქმედებით გამოიწვეულ სათადარიგო ნაწილის დაზიანებაზე.
- მანქანის როგორც ელექტრო ენერგიის სტაციონარულ წყაროდ გამოყენების შედეგად გამოწვეულ დაზიანებებზე;
- ავტომობილის საქარხნო ელექტრო და მექანიკურ კომპონენტებში ცვლილებების შეტანის გამო გამოწვეულ დაზიანებაზე
- თვითნებურად დამონტაჟებული ნაწილებზე, რომლებიც ფორდის მიერ არ არის დამონტაჟებული, მაგალითად, ბოჭკოვან ტელეფონებზე, სიგნალიზაციებსა, ავტომატური ჩართვის სისტემებზე, ბრონირებულ დეტალებზე და სხვა.
- წყალში ღრმად ტარების შედეგად გამოწვეულ დაზიანებებზე.
- ფორდის სტანდარტებთან შეუსაბამო საწვავის, ზეთების, გამაგრილებელი, სამუხრუჭე, ჰიდრავლიკის და სხვა სითხეების გამოყენების შედეგად გამოწვეულ დაზიანებებზე.

10. 3. გარბენის მრიცხველის ნებისმიერი მიზეზით გათიშვის ან ცვლილების შემთხვევაში ავტომობილი იხსნება გარანტიიდან ვადაზე ადრე

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

11.2. ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

11.3. ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობით შეტყობინების საფუძველზე.
11.4 ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მხარეებს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.5. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
11.5.1. თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია განახორციელოს „მომსახურება".
11.5.2. თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების" მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში.
11.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიწმოდებელს"და შემსყიდველს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.7. „შემსყიდველს"და მიმწოდებელს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:
11.7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის" ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.
11.7.2.თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.7.3.„მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში, ასევე იმშემთხვევაში თუ მიმწოდებელი არღვევს გადახდის პირობებს.

12. დავები

12.1. ხელშეკრულების გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, ყოველი მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

13. დაუძლეველი ძალის მოქმედება (ფორს მაჟორი)

13.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პასუხისმგებლობა არ დადგება თუ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით და აღნიშნული შეუძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებას (საომარი მოქმედებები, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, მიწისძვრა, გაფიცვა, წყალდიდობა, ბლოკადა, ემბარგო, ეპიდემია და სახელმწიფოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები რომლებიც შეუძლებელს ხდიან ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების დროულად შესრულებას).
13.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, მხარეები ვალდებულნი არიან სამი დღის განმავლობაში აცნობონ მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ წერილობითი ფორმით.
13. 3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას ხელშეკრულების შესრულება გადაიწევს იმ ვადით რა ვადითაც ადგილი ექნება ფორს-მაჯორს, მაგრამ არა უმეტეს 2 თვის ვადისა. ასეთი ვადით ფ/მაჟორის გაგრძელების შემთხვევაში მხარეები დამატებით გადაწყვეტენ ურთიერთობის გაგრძელების ფორმას და პირობებს.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.
14.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

15. გამოსაყენებელი სამართალი

15.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

17. ურთიერთობა მხარეებს შორის

17.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
17.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. ხელშეკრულების სხვა პირობები

18.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
18.2. „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.
18.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.
18.4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1. ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.
19.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
19.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
19.4. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

20. განსაკუთრებული შენიშვნები

20.1. ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს“.

21. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ ასათიანის ქ.9
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ 220101222 ა/ა 200122900
გენერალური დირექტორი

ნატო ავალიანი

ბ.ა.

„მიმწოდებელი“

შპს „ჯი თი მოტორსი“
თბილისი, ჩოლოყაშვილისქ № 48 ბ
ს/ნ 206276340
ბანკის კოდი: BAGAGE22
სს "საქართველოს ბანკი"
ანგ.№ 89 0000000247624300
გენერალური დირექტორი

თემურ უსტიაშვილი

ბ.ა.